№ 21
პარასკევი, 26 იანვარი, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 21
პარასკევი, 26 იანვარი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

შაბათს, 27 იანვარს, ანჩისხატის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

მღვდლის ალექსანდრე ზაქარიას ძის მოლოდინოვის

სულის მოსახსენებლად

მეუღლე მისი დარია ივანეს ასული მოლოდინოვისა და შვილები: დავით, მიხეილ და ნინა, აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთ, სთხოვენ მობრძანდნენ ანჩისხატის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ, პანაშვიდი $11^1/_2$ საათზედ.

(2—21—2)

ქართული თეატრი

კვირას, 4 თებერვალს, 1901 წ.

ბენეფისი

კ. ს. მესხისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ-ნ **ნატალია მესხისა** (რენელის) **და ბ-ნ ვ. გუნიას** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ

I

მადამ-სან-ჟენ

კომ. 3 მოქმედებად სარდუსი, თარ. კ. მესხისა.

ნაპოლეონის როლს შეასრულებს მობენეფისე, კატრინის როლს—ნატალია მესხი (რენელი)

II

დედის ერთა

კომედია 1 მოქმედებად, ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, ბ-ნნი: აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანიშვილი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, ავალიანი, მირიანაშვილი, იმერიძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

შემდეგი წარმოდგენა ბენეფისი **ვლ. ალექსი-მესხიშვილისა.**

ქართულ სახალხო წარმოდგენების კითხვათა გამგე სექცია აცხადებს, რომ კრება აღნიშნულ საგნების შესახებ მოსალაპარაკებლად დანიშნულია კვირას, 28 იანვარს, ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის შენობაში, დილის 12 საათზედ. კრებას სთხოვენ დაესწრნენ ყველა ისინი, ვისაც-კი რჩევით თუ მონაწილეობის მიღებით ამ საქმეში რაიმე სარგებლობის მოტანა შეუძლიან.

(3—უ.—2)

3 თებერვალს, ქ. გორში, პატივცემულ მანდილოსნების კნეინა მაკრინე ამირეჯიბის და ნინა დურმიშხანის ასულის მაკარაშვილის თაოსნობით, გაიმართება

„ჩითოსანთა საღამო“,

რომლისთვისაც ტფილისიდგან მოწვეული იქმნებიან ზოგიერთა ცნობილი მომღერალნი და დამკვრელნი. ეს საღამო გაიმართება აქაურ საქალებო პროგიმნაზიის და საქალაქო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

(3—უ—1)

კვირას, იანვრის 28, ნაშუადღევის სამ საათზედ ქალაქ ოზურგეთში, ამხანაგობის კანტორაში **გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „შუამავალის“** სარევიზიო კომისიის წევრთა მიერ დანიშნულია ამხანაგობის წარმომადგენელთა

საგანგებო კრება.

კრებას მოხსენდება სარევიზიო კომისიის ანგარიში და ის კითხვები, რომლებიც მიუცილებელსა და დაუყოვნებლივ გარდაწყვეტას თხოულობენ.

(2—ნ.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი. შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

შ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: კოლეჟსკი სეკრეტრობა ამიერკავკასიის რკინის გზის კანტროლის მოხელეს ქილაშვილს; კოლეჟსკი ასესორობა: ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ჯანაშვილსა და ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს ჩოგოვაძეს.

ფელეტონი

„ცნობის ფურცელი“ და მისი „მეპრესსე“

(უნებური გაპასუხება)

ჩემი უკანასკნელი „წკიპურტი“ „ცნობის ფურცელს“ ძალიან ემწვავა და ამ სიმწვავისაგან დიდად იმწვიტინა. ამ გაზეთის წარსულ სამშაბათის, 23 იანვრის, №-ში დაბეჭდილია „პრესსა“, რომელშიაც „ცნ. ფურცელი“ ვითომ-და სცდილობს თავისს გამართლებას და ათასს ოცრობოდოს ედება, რომ დაამტკიცოს: „ჩიორა“ სტყუის და ჩვენ მართლები ვართო. ჩიორას „უმთავრესად „ცნ. ფურცელი“ ჰყავს მიზანში ამოღებულიო“, ჰბრძანებს იგი. ეს სიცრუეა და ამიტომ იძულებულნი ვართ ჩვენდა უნებურად გამოვეპასუხოთ ამ გაზეთს.

„მიზანში“ ჩემს „წკიპურტს“ „ცნ. ფურცელი“-კი არა, საზოგადოდ ქართულის ენის უბადრუკ მდგომარეობის აღნიშვნა ჰქონდა ამოღებული, რასაც ყველა მისი წამკითხველი ადვილად დარწმუნდებოდა და დარწმუნდება *); ხოლო თუ „ცნ. ფურცლის“ უკუღმართობანი რამდენისამე სულ მცირე და უმნიშვნელო ენის შეცდომების მაგალითით იყო დასაბუთებული, ეს იმიტომ-რომ ამ გაზეთის ახალმა რედაქციამ, რომლისაგანაც მეტი გულ-მოდგინეობა და ხალისი იყო მოსალოდნელი, ძალიან გადაამლაშა ქართულის ენის სიმახინჯეში. თითქმის ერთს წინადადებას ვერ შეხვდებით ამ გაზეთში, რომ ან მთლად რუსულიდგან „ყურით გადათრეულს“ არა ჰგავდეს, ან რომელიმე სიტყვა არ იყოს დამახინჯებული. აი, სწორედ ამ სამწუხარო გარემოების აღნიშვნა ჰსურდა ჩიორას და ფიქრადაც არ მოსვლია „ცნ. ფურცლის“ მიზანში ამოღება.

„ცნ. ფურცლის“ „მეპრესსეს“, იმის დასამტკიცებლად, რომ არც „ივერია“ ენის სიფაქიზის მხრივ უცოდველიო, „ივერიის“ წარსულ წლის 26 ნოემბრის №-ში (ძალიან შორს დასჭირებია სიარული!) სტამბის მიზეზით უაზროდ დაბეჭდილი დეპეშა ამოუწერია და სიხარულით ცას ეწევა, ნიშნს უგებს „ივერიას“—აი, შენ კიდევ რა უაზრობა გქონდა დაბეჭდილიო! ჯერ ერთი, ჩიორას არც „ივერია“ დაუტოვებია უხსენებელი, იმასაც უსაყვედურა „წკიპურტში“ ენის უვარგისობა; მეორე—სხვისის ნაკლის აღნიშვნა ხომ ბავშვური თავის გამართლებაა, და მესამე, ჩიორას, საზოგადოდ ქართულის ენის გულის ტკივილი რომ არა მქონოდა, მხოლოდ „ცნ. ფურცელი“ ამომეღო მიზანში და ამ აზრით ძველი ნაწერები მეჩხრიკა, დამერწმუნოს ბ-ნი „მეპრესსე“, ისეთს „მწვანე აქლემებს“ მოვუძებნიდი, რომ ყველა გაოცებული-ყო, ნუ თუ არის ისეთი ქვეყანა, სადაც ასეთნი ენის მცოდნენიც მწერლებად ითვლებიანო? აი, თუნდა ორიოდე მაგალითი გაკვრით, სიტყვის მასალად:

1898 წლის „ცნ. ფურცლის“ მე-616 №-ში დაბეჭდილია:

„ცხვრები, როგორც ყველას მოეხსენებათ, განთქმულნი არიან არამც თუ სულელობით, არამედ გაძლიერებითაც, ყოველმა მცხოვრებმა კარგად იცის, რომ თაგვები ცხვრებს კურტუმებს უჭამენ და აი სწორედ აქ შეგიძლიანთ შეჰნიშნოთ ცხოველების სულელობა და გაძლება“...

ნეტავ რომელი სჯობია ამ ქართულის ენის მშვენიერების ობოლს მარგალიტში: „ცხოველების გაძლიერება“, „ცხვრების კურტუმები“, თუ ერთს კალენდარში წამლად დასახელებულის „сливочное масло“-ს თარგმანი: „ქლიავის ზეთიო“?!.

მაგრამ იქნება სთქვან: ჩვენ წარსულის წლის შეცდომა აღვუნიშნეთ და ის-კი 1898 წელში გადასულაო?!. იქნება ეს „მარგალიტი“ მართლა ძველიც იყოს. მოვძებნოთ სხვა, უახლესი.

„ცნ. ფურცლის“ წარსულ 1900 წლის 12 ოქტომბრის (№ 1265) ახალ ამბავში (და არა დეპეშაში, რომელიც ხშირად ღამე გვიან მოდის და დაგვიანებისა გამო მახინჯად იბეჭდება) აი რა ცნობაა დასტამბული:

„რადგანაც არსაიდგან თხოულობენ (?!), შავ ქალაქში ბევრ ქარხნებში მუშაობა შეჩერებულა. ბევრი მუშებს ისტუმრებს“.

ნუ თუ „ცნ. ფურცელი“ ვერ იგრძნობს მთელს სიდუხჭირესა და უაზრობას ამ ცნობის ქართულ ენისას და კვლავ იკითხავს: „რა ნახა ქართული(ს) ენის საწინააღმდეგო ჩიორამაო“?!. შესაძლებელია, ვერ იგრძნოს, რადგან აკი სწერს:

ქართული(ს) ენის გრამატიკის წინააღმდეგი არ არისო ფრაზები: ,,ხაზინა კონტრაქტით შეეკრა კაპიტალისტ ვერმიშევს‘‘ და ,,სვანებს უჭირთ თავის გამოკვება მრავალ ცუდ მიზეზებისა გამო‘‘-ო. აი, სამწუხარო და სავალალოც ეგ არის, რომ ,,ცნ. ფურცელი‘‘ ენას ამახინჯებს და ამ დამახინჯებას თვითვე ვერა ჰგრძნობს. მოვახსენებთ: მაგ ორს ,,ფრაზაში‘‘ ქართულის ენის წინააღმდეგი ის არის, რომ, ჯერ ერთი, ,,კონტრაქტია‘‘ ხმარებული, ლათინური სიტყვა, ქართულ ,,ხელ-

---

*) იხ. „ივერია“ № 17.

ახალი ამბავი

⁂ როგორც გორიდგან გვატყობინებენ, 3 თებერვალს, კნ. მაკრინე ამირეჯიბისა და ნინო ღურმიშხანის ასულის მაკარაშვილის თაოსნობით, გაიმართება იქ საღამო საქველ-მოქმედო აზრით. აზრადა აქვთ ამ საღამოსათვის ტფილისიდგან მომღერალნი მიიწვიონ.

⁂ ლაზარევის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „1902 წელს სწორედ 30 წელიწადი სრულდება, რაც ლაზარევის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტთან (მოსკოვშია) დაარსებულ იქმნა სპეციალური კლასები. რადგანაც 1902 წლისთვის ინსტიტუტს აზრადა აქვს შეადგინოს სპეციალურ კლასების 30 წლის არსებობის ისტორია, ამიტომ იგი ამ კლასებში სწავლა-დამთავრებულთ უმორჩილესად სთხოვს შეატყობინონ შემდეგი ცნობები: 1, სახელი, მამის სახელი და გვარი; 2, წელიწადი, როდესაც სწავლა დაამთავრეს; 3, თანამდებობა ან საქმე, რომელსაც ეხლა ასრულებენ“.

⁂ სასულიერო უწყებას აზრადა აქვს წელს იმ ადგილებში, სადაც მწვალებლობაა გავრცელებული, ახალი სამრევლო-საეკკლესიო სკოლები დააარსოს.

⁂ 20 იანვარს ქუთაისის ბავშვთათვის სამზრუნველო საზოგადოებას საქველ-მოქმედო საღამო გაუმართავს.

⁂ დაწესებულ ნიხრისა და პოლიციის მიერ მიღებულ ზომების მიუხედავად ყასბები ისევ ნიხრზედ მომეტებულ ფასად ჰყიდიან ძროხის ხორცს ($8^{1}/_{2}$ კაპეიკის მაგივრად გირვანქას 10—11 კაპეიკად ჰყიდიან) და უმეტეს შემთხვევაში დაუსჯელნი რჩებიან. ამის გამო მე-10 ნაწილის ბოქაულს ტერ-გრიქუროვს შეუკრებნია პოლიციის მოხელენი და მოულოდნელად დაუვლია ყასბების დუქნები. ბ-ნ გრიქუროვს და მოხელეებს 30 ოქმი შეუდგენიათ ხორცის ზედ-მეტ ფასად გაყიდვისათვის. ეს ოქმები სასამართლოს გარდაეცემა.

⁂ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი დმიტრიევი დანიშნულ იქმნა კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტის წევრად საერო განათლების სამინისტროს მხრივ, როგორც ამ სამინისტროს წარმომადგენელი.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ლაპარაკი აღძრა, ქალაქის თვითმმართველობაში მოსამსახურეთ ყოველ ხუთის წლის სამსახურისათვის ჯამაგირი მოემატოთ ხოლმე. ამისი პროექტი უკვე შემუშავებულია და 24 იანვარს განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა კიდეც. ეს პროექტი ახლო მომავალში საბჭოს წარედგინება განსახილველად.

⁂ როგორც კავკასიის სამკურნალო წყლების ინსპექტორის მიერ მეურნეობის სამინისტროში წარდგენილ მოხსენებიდგანა სჩანს, შარშან, 1900 წელს, ამ წყლებზედ (პიატიგორსკსა, კისლოვოდსკსა და სხვაგან) მთელის სეზონის განმავლობაში სამკურნალოდ სულ 13,467 კაცი ყოფილა.

⁂ როგორც „კავკაზს“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის კანცელარიაში 1902 წლის იანვრიდგან შემდეგი ახალი თანამდებობანი იქმნება დაწესებული: სამი თანამდებობა საქმის მწარმოებლისა და ერთი ხუროთ-მოძღვრისა. ხუროთ მოძღვარს ჯამაგირი 1200 მან. ექმნება წელიწადში. საკანცელარიო ხარჯს მოემატა წელიწადში 1000 მან.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ლაპარაკი აღუძრავს კავკასიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობებში ინჟენერთა შტატის გადიდების შესახებ.

⁂ როგორც „ტფ. ფურ.“ შეუტყვია, მთავრობას გარდაუწყვეტია გორის მაზრის სოფელ ხიდისთავში ხიდი გამართოს. საჭირო ფული საერობო თანხიდგან იქმნება გადადებული.

⁂ დღეს, 26 იანვარს, თავად-აზნაურთა თეატრში რუსულ საოპერეტო დასის არტისტის ბ-ნ ტუმანსკის ბენეფისია დანიშნული. წარმოადგენენ ოპერეტს „მადამ სანჟენსა“ და „დავას“ ერთ მოქმედებას. ამ წარმოდგენაში ქართველი არტისტები ვ. აბაშიძე და კ. მესხიც იღებენ მონაწილეობას.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, თუ რა წეს-რიგით უნდა მიეცეს ხოლმე გზის ფული მთავრობის მიერ სოფლებსა და ქალაქებში გაგზავნილ ბეითლებს, ე. ი. გზის ფული ჯამაგირთან ერთად უნდა მიეცეს თუ ავანსად მოთხოვნილებისამებრ.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად შეუტანიათ საქმე სურამის მცხოვრების დანიელ კოჟიაშვილისა, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდება.

⁂ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობისათვის 84 კაცს მიუმართავს და უთხოვნია ადგილები ბორჩალოს მაზრაში სპილენძისა, ვერცხლისა, ტყვიისა და სხვა მადნების დასამუშავებლად.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავად ნამყოფმა მატინოვმა მოურავობის დროს სახლი აიშენა საპიორნის ქუჩაზედ და ქუჩას ამ სახლის წინ რაოდენიმე ნაწილი ჩამოეცალა. ამ გარემოებას მაშინ გამგეობამ ყურადღება არ მიაქცია, რადგანაც მატინოვი მოურავად იყო. მას შემდეგ ბევრჯერ აღუძრავთ ლაპარაკი მატინოვის მიერ ქალაქის მიწის მისაკუთრების შესახებ, მაგრამ მიწა მაინც მატინოვს რჩებოდა. ეხლა ტფილისის პოლიცმეისტერის კოვალიოვის განკარგულებით საჩივარი აღუძრავთ სასამართლოში იმის შესახებ, რომ დაევალოს ბ-ნს მატინოვს აღნიშნული ქუჩა განათავისუფლოს თავისს შენობისაგან.

წერილი რაჭიდგან

რაჭის მაზრის უფროსის პლეტენიევისა და მომრიგებელ შუამავალის თავ. ნაკაშიძის წინადადებით ამას წინად მთელმა ქვემო-რაჭამ ერთის ფრიად სასარგებლო საქმის შესახებ აღძრა ნებართვის თხოვნა ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე. რამდენად შეწყნარებული იქნება ეს თხოვნა ბ-ნ გუბერნატორისაგან, ამაზედ ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ, თუ შეიწყნარა, დიდს სარგებლობას მოუტანს მთელს ქვემო-რაჭას. ბ-ნმა მაზრის უფროსმა და თავ. ნაკაშიძემ ერთს დღეს მთელის ქვემო-რაჭის მამასახლისები შეჰკრიბეს და გამოუცხადეს: „ჩვენ გვსურს,—თუ თქვენც მხარს დაგვიჭერთ, ვიშუამდგომლოთ ბ-ნ გუბერნატორთან, რომ სოფ. წესში დაარსებულ იქმნას ფოსტის კანტორა, საიდგანაც ყოველგვარ კორესპონდენციებისა და ფულის გაგზავნა და მიღება იქმნება შესაძლებელიო; იქნება აგრეთვე დეპეშების გადასაცემი მანქანა და სხ. თუ კეთილ ინებაბ ნმა გუბერნატორმა და ნება დაგვრთო, ამ საქმეზედ პირველს წელს დაგვჭირდება მხოლოდ ას ოთხმოც-და-ათი მანეთი და შემდეგ-კი მთლად ხაზინა იტვირთებს ყოველს მისს ხარჯსა და ბაჟს; დაადგინეთ განაჩენი ყოველმა მამასახლისმა თავ-თავიანთს საზოგადოებაში, ხელი მოაწერეთ და გვაცნობეთ, თუ ისურვებთ. ბ-ნს მაზრის უფროსსა და თავ. ნაკაშიძეს მამასახლისებმა დიდი მადლობა შესწირეს ამისთანა კეთილის საქმის დაწყებისათვის და ორის კვირის შემდეგ ხელ-მოწერილი განაჩენი წარუდგინეს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ მთელს რაჭის მაზრაში არის მხოლოდ ერთად ერთი დაბა ონი, სადაც სასამართლოს ყოველივე დაწესებულება და ფოსტაა. დაბა ონი თითქმის რაჭის განაპირასა სძევს და რაჭის მაზრა-კი გაჭიმულია თითქმის ასს ვერსზედ. უბრალო წერილის მიღება რომ უნდოდეს ადამიანს ზოგიერთი სოფლიდგან ოთხმოცი ვერსი უნდა გაიაროს და ზოგიდგან მეტიც. ხოლო რამდენად საძნელოა ამ სიშორეზედ სიარული ღარიბის გლეხისათვის, ამას თვით მკითხველიც კარგად მიჰხვდება. ამ დიდ სასარგებლო საქმეს, იმედია, თავად-აზნაურობა და სამღვდელოებაც თანაუგრძნობს დ̃ თავ-თავიანთს წვლილს პირველად საქმის დაარსებისათვის არ დაიშურებენ. მარტო გლეხებს რომ დავადოთ კისერზედ, აბა რა ჰქნან საწყლებმა, განა სხვა გარდასახადის ძლევა-კი არ ეყოფათ? მაშ იმედია ხარჯს არავინ მოერიდება და ბევრი ბევრი ამ თავით კომლს თითო აბაზი ან ხუთი შაური თუ გაჰხვდება გარდასახდელი.

ვანო ჰიჰინაძე

ხევი.

(საქართველოს სამხედრო გზა).

ჩემი ცხვრით მოგზაურობა თერგის ოლქსა და ყიზლიარის განყოფილებაში.

(შემდეგი *)

პირველს სარაფანში მისვლაზევე ჩვენი ყურადღება იქაურმა ქართველებმა მიიქციეს. ვუყურებ, ერთს ფართო მინდორზედ ყაზახის სოფელია (станица) გადაჭიმული; სოფლის მახლობლად რამდენიმე ყაზახი შემხვდა, რომლებსაც ჭრელი თვალები, მოყვითანო წვერ-ულაში და განიერი ცხვირის ნესტოები ჩამომავლობას ნათლად უმტკიცებდა. გავიარე ცოტა და დავინახე რამდენიმე ახალგაზრდა ყაზახი ლურჯ სათაურიანის მაღალის ქუდებით, ლურჯის ჩოხებით და თეთრ ძვალიან მასრებით, მაგრამ უნებლიედ ვიგრძენ, რომ ესენი პირველებთან სულ სხვა ტომისანი უნდა ყოფილიყვნენ. გარეგნობით ტანისამოსს იმათი ტიპი და შეხედულობა ვერ შეეცვალა. მათი შავი წვერ-ულვაში, ფართო შუბლი და შუბლზედ ხშირი ყორნის ფრთასავით გადაჭიმული შავი წარბ-წამწამი აშკარად ამტკიცებდა, რომ ისინი ქართველები იყვნენ. მე ჩემთვისა და ცხენისთვის განვებ ბინა მოვიკითხე და დასვენება მოვინდომე. დიდად გამიკვირდა და თანაც მესიამოვნა, ამ უცხო თემ-ქვეყანაში ქართულს ენაზედ ლაპარაკი რომ გავიგონე. ამათ ქართულად მიმასწავლეს: აი ამ ქუჩას დაჰყევი, ჩადი ქვემოთ და ივანოვის ყაზახი იკითხე; ისენი ქართველები არიან და ყველაფერი მოეპოვებათ შენთვისაცა და ცხენისთვისაცო. დანიშნულს ადგილზედ მიველ, ცხენი დავასვენე და თითონაც შევისვენე; გავიარ გამოვიარე სოფელში, განვებ ქალთან თუ კაცთან სხვა-და-სხვა საუბარი გავაბი, მაგრამ გავიკვირვე, როდესაც რუსის სახლიდგან, ყაზახის ტანისამოსში გამოწყობილი კაცი თუ ქალი წმინდა ქართულს ენაზედ მელაპარაკებოდნენ. მაგრამ ლაპარაკს სიტყვებს ურთავენ: არ ვიცი, ვალა! რა მოგახსენოთ, ვალა? კარგს იზამთ, ვალა! ეს სიტყვა, როგორც სჩანს, თათრულიდგან შეუთვისებიათ, როგორც ჩვენ „ღმერთმანი“. სხვა არაფერი განსხვავებული ენა არა აქვთ. შემდეგ სკოლასაც მივმართე, რადგანაც ივანოვმა მითხრა, ჩვენებური ქართველი არის მასწავლებლადაო და სამწუხაროდ ისა და მამასახლისი, ისიც ქართველი, გვარათ გიორგიევი, სადღაც სოფელში წასულიყვნენ. მასწავლებლის გვარი არ იცოდნენ. თავიანთი ისტორია ამათაც აგრეთვე არ უწყიან, როგორც ყიზლიარის ქართველებმა; წერა-კითხვას ორივე სოფლელებს პირველ-დასაწყისს სამრევლო სკო-

შეკრულობის“ ნაცვლად. ჩიორა ხომ ჩიოდა თავისს „წკიპურტში“, რომ „ისეთი უცხო სიტყვები შემოაქვთ ქართულს მწერლობაში, რომელთა სანაცვლო და სამაგიერო თვით ქართულს ენას მოეპოვებაო“, და ეს „ფრაზაც“ ამის საბუთად იყო ამოწერილი. მართლაც, რა საჭიროა „კონტრაქტის“ ხმარება, როდესაც ქართული „ხელ-შეკრულობა“ სრულიად და სავსებით აღნიშნავს მისს აზრს?!. იქნება სთქვან,—ხალხი ჰხმარობსო. ხალხი „რეშენიასა“ და „პრიდავარსაცა“ ჰხმარობს და ნუ თუ ქართული გაზეთიც ამ სიმახინჯეს უნდა აჰყვეს?! რაც შეეხება ქართულის ენის გრამატიკის წინააღმდეგობას, ამასაც დავუსახელებთ სწორედ იმ სიტყვებში, რომლის ქართულობაც „ცნობის ფურცელს“ რომის პაპსავით უცოდველადა და უცდომელად მიაჩნია. „ცნ. ფურცელი“ სწერს: „მრავალ ცუდ მიზეზებისა გამო“-ო და ქართველი-კი ასე იტყოდა: „მრავალ ცუდ მიზეზისა გამო“, რადგან სადაც „მრავალია“, იქ მეორედ გამრავლება „მიზეზები“-სა აღარ არის საჭირო.

მაგრამ უკაცრაოდ... დაგვავიწყდა აღგვენიშნა, რომ „ცნ. ფურცელი“ ანუ მისი „მეპრესსე“ დიოგენის ფარნით შეიარაღებულა და ჩემს, ჩიორას, „წკიპურტშიაც“ ერთი, ერთად-ერთი შეცდომა გამოუძებნია. მერე რა შეცდომაა ეს შეცდომა? ამოუკითხავს: „შევეკითხე მისის ჩივილ-წუწუნით მოღალულმა“-ო და სწერს: „მოღალულმა შევეკითხე“ — ეს უფრო ტფილისელ ქართულ-სომხურ ჟარგონს მოგვაგონებს, ვიდრე ქართულ ფაქიზს ენასაო“. შეცდომად აქ „ცნ. ფურცელს“ „მოღალულმა“ ჰგონია, „მოღალული“ უნდა იყოსო. სიბრაზისაგან რომ არ ამწვიტინებულიყო და ცოტა დაჰფიქრებოდა, დაინახავდა, რომ აქ შეცდომა ფრაზის ბოლო სიტყვაში კი არ არის: „მოღალულმა“, არამედ პირველს სიტყვაშია: „შევეკითხე“, რადგან პირისპირ მოლაპარაკეს-კი არ შეეკითხებიან, ჰკითხავენ. „შეეკითხებიან“ ვისმეს აქედგან ბათუმში, ფოთში, ხოლო თავისთან მოლაპარაკეს „ჰკითხავენ“. ფელეტონშიაც უნდა ყოფილიყო „ვკითხე მისის ჩივილ-წუწუნით მოღალულმა“ და არა „შევეკითხე“, რომელიც უბრალო, ადვილად დასანახავ-მისახვედრი კორრექტურული შეცდომაა და არა „ტფილისელი ქართულ სომხური ჟარგონი“, რომლითაც ვითომ რაღისაც და სადღაც უმართებულოდ გადაჰკრავს „ცნ. ფურცელი“. კარგი, ვთქვათ, რომ ასეთი შეცდომა „ტფილისელი ქართულ-სომხური ჟარგონია“, თითონ ეს „ტფილისელი ჟარგონი“ სადაურილა ეშმაკური „ჟარგონია“?!. გამიგონია „ტფილელი“ ან „ტფილისელი ვაჭარი“, თუნდა „ტფილისელი ვირი“, მაგრამ „ტფილისელი ჟარგონი“?!. იქნება ადრესიც გამოაცხადოს „ცნობის ფურცელმა“, სადა სცხოვრობს ეს ბ-ნი „ტფილისელი ჟარგონი“? ვურჩევთ „ცნ. ფურცელს“, წინ დაიხედოს, თორემ ყოველთვის ასე ადვილად წაიფორხილებს და კისერს წაატეხს!..

ჩვენ რომ ისეთს კორრექტურულს შეცდომებს გამოვეკიდოთ, როგორიც „ცნ. ფურცელს“ „წკიპურტში“ დიდის ძებნისა და ჩხრეკის შემდეგ უპოვია, აღვნიშნავდით, რომ თუნდა იმავე ნომერში, რომელშიაც ჩვენი საყვედურია დაბეჭდილი, სწერია: „დაესახელებინათ მიზეზები“ (დაესახლებინას ნაცვლად) „კრასნოგორის“ ქუჩა (კვირაცხოვლის ქუჩის ნაცვლად), „უმზგავსი“ (უმსგავსის ნაცვლად), და სხ... მაგრამ აი, იქვე, 23 იანვრის №-ში, რა მშვენიერებანი მოიძებნება: მეთაურს წერილში: „სხვა-და-სხვა მიზეზების“ (რუსიციზმია), „თავის პირობებს“ (ნეტა ფეხის პირობები რომელი-ღაა?), „კორპორაციას გამოყოფილი ჰყავს კომისია“ (მშვენიერი ქართულია!), „მისი, მოქმედება ყოველივე გარეშე მაყურებელში სამართლიან ეჭვს დაბადებს“... (ნუ თუ არც ეს ფრაზაა რუსულიდგან ყურით გადმოთრეული?)

იმავე ნომრის ახალ ამბებში ამოიკითხავთ:

„რობი ითხოვს, რომ ქალაქის თვითმმართველობამ მალე შეატყობინოს პასუხი ამ წინადადებაზედ“...: როგორ მოგწონთ ეს „პასუხი წინადადებაზედ“?! პასუხი წერილისა, წინადადებისა და არა წერილზედ, წინადადებაზედ...

იქვე: „ბავშვების წვიდზე მიირბინეს გამცონეთ, უცებ ტანისამოსი შემოაგლიჯეს, ასე რომ ცეცხლი ბავშვს ტანზედ არ მოჰკიდებია“... განა რომ მშვენიერია: „მიირბინეს, შემოაგლიჯეს და მოჰკიდებია“!..

იქვე: „შაბათ საღამოს ვერის დაღმართში მიდიოდა სპარსეთის ქვეშევრდომი უსუფ-ადაგერდ-ოღლი, რომელსაც ერთის უცნობისათვის უკითხავს“... ხომ გაიგონეთ: „მიდიოდა და უკითხავს“. თუ „მიდიოდა“, ჰკითხავდა, და თუ „უკითხავს“, მიდენილა. ამას განა დიდი ცოდნა უნდა ქართულისა?!.

იქვე: „წულუკიძე უკვე გამოტყდა დანაშაულობაში, რომელიც მეტეხის ციხეში იქმნა დაპატიმრებული“. ვკითხოთ ახლა „ცნ. ფურცლის“ „მეპრესსეს“: ვინ იქმნა მეტეხის ციხეში დაპატიმრებული, წულუკიძე თუ დანაშაულობა?! რასაკვირველია, ყველა ისე ამოიკითხავს, რომ წულუკიძე განუთავისუფლებიათ და დანაშაულობა-

---

*) იხ. „ივერია“ № 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩამოვარდა და ვაგონის თვალმა მარჯვენა ხელი და მარჯვენა ფეხი მოსტეხა.

შეცდომის გასწორება: გუშინდელს ფელეტონში: „ცნობის ფურცელი“ და მისი „მეპრესსე“ შემდეგი შეცდომანი შეპარულა: დაბეჭდილია: ,,დაესახელებინათ მიზეზები'' (დაესახლებინას ნაცვლად), უნდა იყოს: ,,დაესახლებინათ მიზეზები'' (დაესახელებინას ნაცვლად); დაბეჭდილია: ქართულს მწერლობას, უნდა იყოს: ქართველს მწერლობას.

ხევი.

(საქართველოს სამხედრო გზა).

ჩემი ცხვრით მოგზაურობა თერგის ოლქსა და ყიზლიარის განყოფილებაში.

(დასასრული *)

ზემოდ ჩამოთვლილს სოფლებს ყველგან მეველეები (такъ называемые объѣздчики) ჰყავთ დაყენებული, რომლებიც თავისს გამორჩენის გულისათვის უჯამაგიროდ ემსახურებიან სოფელს; ამათგან ანაღები ჩადაგლი ნახევარი სოფლისაა და ნახევარი მეველეების საკუთრებაა. მართალია, ცხვარი ისეთს დროს მიდის (სთველ-გაზაფხულზე), როდესაც სოფლელებს არც ყანა უფუჭდებათ და არც სათიბი, მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, ეს „ობეზდჩიკები“ არც დღე და არც ღამე არ ისვენებენ და გამორჩენისათვის და შარისთვის მინდვრად დადიან ცხვრების მოძრაობის დროს. ამ ყარაულებს არ გაახნიათ ისა, აძოვა ვინმემ თუ არა, გადუშვა ცხვარი გზის პირზედ, თუ ისე გამოიარა, მაინც ძალა და სამართალი ხელთა აქვთ და ართმევენ და მიაქვთ ნიშანი სოფლის სამმართველოებში ჯარიმისა და ბალახის ფულის წასართმევად. მე, ამ სტრიქონების დამწერმა, სამს ფარაზედ ორს საათში 25 მან. გაძლიე სასოფლო საძოვარში ცხვრის მოსაძოვებლად მამასახლისს, და ასე მიპასუხა: „მაგ ფულს, რომ არ აძოვოთ, ჩვენი „ობეზჩიკები“ ისეც მოიტანენო. როდესაც სრულიად უბრალოდ ართმევს ყარაული მეცხვარეს რაიმე ნიშანს სოფელში მისატანად, გაჯავრებული მეცხვარე უსამართლობას ვერ იტანს და ეწინააღმდეგება, მაშინ ყარაულები თავისს სოფლელებს იწვევენ და ხდება ერთი ჯოხების ტრიალი. ძნელადა ჰნახავთ ფარას, რომ ორი სამი მძიმედ ნაცემი და ჯოხებით მიბეგვილი არ მოჰყვანდეს ურმით. ზოგჯერ თვით მათი ატამანი და სოფლის სხვა მოხელეებიც იღებენ მონაწილეობას ჩხუბში; შემდეგ ატუსაღებენ მწყემსებს, ურმებს და ბინას, პატრონს აკლებენ ცხვარს და უსამართლოდ ართმევენ, რადგანაც იციან, რომ მწყემსი აქვე გასამართლებას ირჩევს და იმისი დრო არა აქვს, რომ საქონელს თავი დაანებოს და უმაღლესს მთავრობას მიჰმართოს. სადა არა მგონია, ყაზახების სამმართველოს წინ არის გაჩერებული ჩვენებური ცხვრის ბინა და ორიოდ სამი სისხლ-ჩამოდენილი მწყემსი. საწყალის გულს უსამართლო გარდასახადით არ იჯერებენ, თავისუფლებას არ აღირსებენ. აქ გაიყვლიფა კაცი, ადგა და გაუდგა გზასა, გაიარა 10—12 ვერსი, ახლა ხელმეორედ ახალი შარი გახდა, ახლა მეორე სოფლის „ობეზჩიკები“ დახვდნენ და ესევე სცენა იქ გაიმეორეს. ანდაზისა არ იყოს: „დვალი კიდეც გაიქცა და კიდეც გაიძვარცვაო“, სწორედ ასე ემართება ჩვენს მეცხვარეებს. ჰხედავენ, რომ სამართალი და ძალა ორივე ხელთ მათა აქვთ და ჩხუბი აღარაფრის მაქნისია, მაგრამ გული არ ითმენს. იქნება სთქვას ვინმემ, თუ კი ასეთი უსამართლობა ადგია მწყემსსა, რატომ „აქტს“ არ შეადგენენ და უმაღლესს მთავრობას არ შეაჩივლებენო. განა ვინ უნდა შეადგენინოს „აქტი“? -იმას, ვისაც ნადავლ-ნაძარცვში წილი უძევს! ის ისეთს „აქტს“ შეადგენს, რომ კისერს ისევ მწყემსს მოატეხინებს. ან და სად წავიდეს უენო მწყემსი, ვის შეჩივლოს, საჩივარი ხომ ორს სამს წელს გასტანს, და განა სამწყემსოს რომ თავი დაანებოს, უფრო ბევრი ზარალი არ მოუვა? აი, ყაზახებიც ამითი არიან წათამამებულნი, რომ იციან მეცხვარეს სასამართლოებში სიარული არ შეუძლიან და ძალაუნებურად ემორჩილება იმათს გაუმაძღარს კუჭის მოთხოვნილებას.

მოძოვების გარდა სარგებლობენ იმითაც, რომ თერგის ოლქში მსწრაფლ სასროლის იარაღის ტარება თუ არა რუსს, სხვა კაცს არ შეუძლიან; აქაც ყაზახები, იმის-და მიუხედავად, აქვთ თუ არა ნება იარაღის აურისა, თავიანთის კუჭის დასაკმაყოფილებლად ან იარაღს ართმევენ, ან და ღირებულს ჯილდოს. რა უფლებით?!... მე წერილით შევჩივლე ბ-ნს თერგის ოლქის უფროსს, რაც სლეპცოვსკის ყაზახებმა დღე დამაყენეს ამ ორის წლის წინად იარაღის თაობაზედ და ოთხი ყაზახი პასუხის გებაშიაც მისცა მან; თან მიწერილობით აუწყა ყველა სამმართველოებსა, რომ პასუხის გებაში მიეცემიან ისინი, ვისაც ნება არა აქვს იარაღის ჩამორთმევისა და ამ უფლებას მიითვისებსო. მაგრამ განა ესრე გამოკიდება ყველა მწყემსს შეუძლიან? ყველა მხრივ შევიწროებული მეცხვარეები მოთმინებიდგან გამოვიდნენ და ამ წარსულის წლის მაისის 30-ს თხოვნა გაუგზავნეს მთავარმართებელს თავადს გოლიცინსა და თერგის ოლქის უფროსს ბ-ნს ტოლსტოის; თხოვნებში დაწვრილებით აუხსნეს ყოველგვარი შევიწროვება და ყაზახების მიერ ჩადენილი უწესოება. თხოვნამ მართლაც უნაყოფოდ არ ჩაიარა და თერგის ოლქის უფროსის კანცელარიამ შემდეგი პასუხი მისცა მეცხვარეებს: 29 თიბათვეს 1900 წელს, № 19919-თ, თანახმად თქვენის თხოვნისა, კავკავიდგან ყიზლიარამდე, ანუ უათაიის სტანიცამდე, გზის ორსავე ნაპირზედ საძოვრად ას სი საჟენი მიწა დაგეთმოთ ცხვრის გატარებ-გამოტარების დროსა, აგრეთვე უნდა დაარსდეს ყველა სოფლებს შორის საქონლის სარეკი გზები (скотопрогонныя дороги), რომ მეცხვარეებისა და მემამულეების შორის მუდმივს შეტაკებას ბოლო მოეღოს, როგორც ტფილისის გუბერნიისას, ისე დაღესტნის ოლქებისასაო. რაც შეეხება იარაღის უკანონოდ ჩამორთმევას, სასტიკად უნდა მოეპყრას კანონი ყველას, ვინც კი იარაღს აჰყრისო. მაგრამ ვაი, რომ მიწერილობა, მართალია, დღეს ხელთა გვაქვს, მაგრამ ორსავე მხარეზედ თუ კვალები არ ჩაევლო, მაინც ძარცვა-გლეჯას ბოლო არ მოეღება...

კალმის წვერა

---

*) იხ. „ივერია“ № 21.

მაჩხაანის საადგილ-მამულო დავის გასამართლება

18 იანვარს 1901 წელს ტფილისის ოლქის სასამართლომ, ბ-ნ ი. კ. სავიცკის თავმჯდომარეობით, განიხილა მაჩხანელების სასულიერო წოდების მემამულეების და აზნაურშვილების დავა იმ მიწების შესახებ, რომლის გამო დანიშნული იყო ადგილობრივი გამოძიება 9 თიბათვეს 1900 წელს. ამ გამოძიებისათვის, ისევ სექტემბერს 1900 წელს, მიბრძანდა ქიზიყში წევრი ტფილისის ოლქის სასამართლოსი ბ-ნი ლ. ნ. სტოიანოვსკი. შემდეგ მოწმების ამორჩევისა, გარეშე სოფლელთაგან, რიცხვით 12 კაცისა, რომელნიც იყვნენ დასახელებულნი თვით გარეშემო სოფლების მამასახლისთა და მოხელეთაგან, ბ-ნი სტოიანოვსკი ხაზინის რწმუნებულთან და მემამულეებთან ერთად გაემგზავრა სადავო მამულების ადგილობრივ გამოსაძიებლად და დასათვალიერებლად. — მას თან ახლდნენ მოწმენი და სოფლის მოხელე-მამასახლისნი — აქვე ბრძანდებოდნენ ადგილობრივი ბოქაული თ. ნ. ერისთავი და მაჩხაანის მკურნალი თავ. ალ. ღიასამიძე. — ჯერ დაათვალიერეს ივრის საძოვარი ადგილები, შემდეგ ვაკის სახნავ-სათესი მიწები, აქედგან გადმოვიდნენ თელაწყალზედ და მთაში და ბოლოს ჰნახეს ქუმბათის და ალაზანზედ მდებარე საბოსტნე, საპლანტაციო და სახნავ-სათესი ადგილები. — თითქმის ერთი კვირა დაჰყო ბ-ნმა სტოიანოვსკიმ ამ მინდვრებში და ყველგან დიდის გულმოდგინეობითა და დაკვირვებით გამოიძია საქმის ვითარება: შემოუარა სადავო მამულებს, მიაქცია ამორჩეულ კაცების ყურადღება მიჯნებსა და იმაზედ, თუ ვის რა მოქმედება ჰქონდა მამულში, ბინებში და სხვ. პირველ ღამეს, რომელიც გაატარა წევრმა სასამართლოსამ საბადურის საყარაულოში მდ. ივრის ნაპირას, მან ჩამოართვა ჩვენება ამორჩეულს მოწმეებს და შეადგინა განაჩენი ივრის საძოვარ ადგილების შესახებ; მეორე და მესამე ღამე დაჰყო სოფელ ზემო-მაჩხაანში, მეოთხე და მეხუთე — სოფელ ქვემო მაჩხაანში. — ორგანვე ადგილობრივ ჩამოართვა ჩვენება მოწმეებს და შეადგინა განაჩენები. რათა მოწმეებზედ არვის ემოქმედათ, მათ ცალკე ბინა ჰქონდათ მიჩენილი და ედგათ დარაჯად მოხელეთაგან კაცი.

მოდავეთ წარმოადგენენ ერთის მხრივ ხაზინა და მეორის მხრივ შემდეგნი სოფელ ზემო და ქვემო მაჩხაანის სამღვდელო წოდების მემამულენი, აზნაურშვილები და მოქალაქენი: ზალდასტანაშვილები, ბოსტაშვილები, ყიასაშვილი, ნატროშვილები, რობიტაშვილები, ჯალიაშვილები, მენთეშაშვილები, ჯამასპიშვილები, ნადირაძეები, ბერიაშვილები, ზარათიშვილები, ბენაშვილები, იაკობაშვილები, ქადაგიძე, შარმაზანაშვილები; მოსულ გარეშე კაცებთაგანნი და სხვა სოფლელთაგანნი: ალადაშვილი, გოზალოვი, მირზოევი, მატინოვი, ქანანოვი, მუსლოვი, შეიკანი, ფხოვლიშვილი, ალუდაშვილი, სარქისოვი, გომელაური, თამაზოშვილი, ბალდასაროვი, შავერდოვი, იაშვილები, მატინიანცი, ბარნაბიშვილი, ბეგიაშვილები, თანდილოვი, ნუბაროვი, პოპიაშვილი, დავითიანცი, შოშიაშვილი, თარაშვილი, არუთინოვი, იაკუბოვი და სხვ...

სადავო მამულები მდებარეობს მდ. ალაზნისა და ივრის შუა, რომელსაც შეადგენენ სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, სამოსახლოები, საბოსტნე, საპლანტაციო და სავენახე ადგილები... დამცველად ხაზინის მხრივ იყო ბ-ნი გორბოვსკი-ზარანეკი, ხოლო სასულიერო წოდების მემამულეების და აზნაურების მხრივ — ილია ივანეს ძე ნატროშვილი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო თავის სოფლის ხალხს, როგორადაც ადგილობრივ საქმის გამოძიების დროს, აგრეთვე სასამართლოში საქმის დაცვის დროს.

მის გამჭრიახობასა და საქმის ღრმად შესწავლას მიეწერება, რომ სასამართლომ არ შეიწყნარა სახელმწიფო რწმუნებულის ბ-ნ გორბოვსკის შუამდგომლობა და სცნო სადავო მიწები საკუთრებად როგორც ხაზინისა, ისე აზნა-

---

დღეს მთელი ნიუ-იორკი მორრისზედ ლაპარაკობდა.

ამას წინად მდიდარ ბანკირს, ჰენრი მორრს, ამხანაგებისთვის სადილი გაუმართავს. შუა სადილის დროს უზარმაზარი ქადა შეუტანიათ. როდესაც გაუჭრია, გაკვირვებულ და გაოცებულ საზოგადოებას თვალები დაუჭყეტიათ: ქადის გულში ცოცხალი დედი-შობილა ქალი იჯდა, მთელ ნიუ-იორკში სილამაზით ცნობილი ელეონორა სედლეი. ასეთ „სიურპრიზს“ აღტაცებაში მოუყვანია დამსწრე საზოგადოება. მას აქეთია, მილიონერთა ახალგაზდა ქალები ცხადად თუ სიზმარში თავიანთ თავს ქადის გულში ჰხედავენ.

* * *

რა თქმა უნდა, ასეთ ქალებისაგან არაფერი სიკეთე არ გამოვა. კარგია კიდევ, რომ ამათი რიცხვი მეტად მცირეა როგორც ამერიკასა, ისე ევროპაში. სამაგიეროდ წლითი-წლობით მატულობს იმ მშრომელ ქალთა რიცხვი, რომელნიც სწავლა-ცოდნის შეძენას ეტანებიან და სამოქმედო ასპარეზზედ გამოსასვლელად ემზადებიან. ამ დაუღალავ მუშაკთა უნარია, რომ დღეს თითქმის ყველგან ქალებს უმაღლესს სწავლის მიღება შეუძლიანთ.

იშვიათი უნივერსიტეტილაა ეხლა დასავლეთ ევროპაში, სადაც ორი-სამი ქალი მაინც არა სწავლობდეს. ბერლინის უნივერსიტეტში 1896 წელს მიიღეს ქალები. მაშინ სულ 40 ქალი სწავლობდა, 1897 წელსკი —193 ქალი, 1898 წ.—241 ქ., 1899 წ. — 350 ქ. და 1900 წელს— 371 ქალი. ამ უკანასკნელ მოსწავლეთაგან 19 გათხოვილია და 4 ქვრივი. უხნესი სტუდენტი-ქალი 61 წლისაა.

„მესამოცდაათე წლების გასულს პარიჟის უნივერსიტეტში სულ 5 ქალი სწავლობდა, სწერს ერთის რუსულის გაზეთის კორესპონდენტი. უნივერსიტეტში როგორც უცხო რამ ნადირებს, ისე უყურებდნენ ქალებს. არც ერთს მათგანს უპროფესოროდ აუდიტორიაში შესვლა არ შეეძლო. თვით აუდიტორიაშიაც პროფესორის სტოლის გარეშემო ისხდნენ ეს ქალები და არა სტუდენტებთან. თუ რომელიმე მათგანი შემთხვევით პროფესორზედ ადრე შევიდოდა, ყვირილსა და ღრიალს დასასრული არა ჰქონდა: სტუდენტები საწყალ ქალს სასაცილოდ იგდებდნენ, უსტვენდნენ, კატებივით ჰკნაოდნენ და ზოგჯერ ჰკოცნიდნენ კიდეც“. ასე იყო 20 წლის წინად. ეხლა-კი იმავე პარიჟის უნივერსიტეტში 500 ქალი სწავლობს.

არა მარტო ევროპაში, შორეულ აღმოსავლეთშიაც-კი შეჰხვდებით სწავლა-ცოდნის შეძენის წყურვილით გატაცებულ ქალებს. იაპონიაში, იმპერატრიცის მეცადინეობით, უკვე შეუდგნენ დედათა უნივერსიტეტის დაარსებას. ამავე სახელმწიფოში მთავრობა აარსებს ქალთათვის საპროფესიონალო და სავაჭრო სკოლებს.

შანჰაიში განათლებულ ჩინელ ქალებს საკუთარი გაზეთი დაუარსებიათ. ამ გაზეთში მხოლოდ ჩინელი ქალები იღებენ მონაწილეობას. შანჰაისა, კანტონსა და სხვა დიდ ქალაქებში დღეს ბევრია თურმე ისეთი ქალი, რომელსაც ევროპიული განათლება მიუღია.

უფრო მეტად ევროპიული სწავლა-განათლება ინდოელ ქალთა შორისაა გავრცელებული. საკუთარი გაზეთი იქაურ ქალებსაცა აქვთ. ამას წინად ინდოეთში გარდაიცვალა ნიჭიერი მწერალი ქალი ბანალატა დები. განსვენებული 21 წლისა იყო. მამა დებისა მთელს ინდოეთში ცნობილი მოღვაწე იყო. მამის ხელმძღვანელობით ახალგაზდა ქალმა სამაგალითო სწავლა-განათლება მიიღო. სწავლის დამთავრებისათანავე ბანალატა დები გულმოდგინედ შეუდგა ლიტერატურულ მოღვაწეობას. პირველ წელსვე დააარსა ქალთა კავშირი და გაზეთი „Anthapore“, რომელშიაც მხოლოდ ქალები იღებენ მონაწილეობას. ამ გაზეთს ეხლა ყველა ინდოელის ოჯახში შეჰხვდებით.

⁂

ამერიკას აღარ ვიხსენიებთ: იქ დიდი ხანია ქალებმა გზა გაიკვლიეს ცხოვრებაში და დამოუკიდებლობა მოიპოვეს. სასწავლებლებს, ქალთათვის დაარსებულს, კლუბებს, სხვადასხვა საზოგადოებასა და ამხანაგობას ხომ ანგარიში არა აქვს. სხვათა შორის, ამას წინად მასსაჩუზეტის შტატში ადგილობრივ მანდილოსნებს მეტად საყურადღებო საზოგადოება დაუარსებიათ.

მოგეხსენებათ, ამ ბოლოს დროს მზითვიან ქალებს ყმაწვილ კაცთა შორის მრავალი მძებნელი აღმოუჩნდა. თავისს-და-თავად ყმაწვილ კაცთა ასეთის სურვილის წინააღმდეგ არაფერი ითქმის, თუ, რასაკვირველია, ეს ყმაწვილი კაცები შრომისმოყვარენი არიან, ფულის წესიერად მოხმარება და ოჯახის მოვლა იციან. მაგრამ მრავალია ისეთი, რომელიც მდიდარ ქალს ირთავს მხოლოდ იმიტომ, რომ აღებული ფული უთავბოლოდ გაჰფლანგოს და ამხანაგებთან განუწყვეტელ ქეიფ ნადიმებში დაჰხარჯოს. ხშირად ყოვლად პატიოსანს, ჰკვიანს ქალს უვიცი და გაუნათლებელი, ამასთან გაიძვერა კაცი ჰხვდება ხოლმე; ბევრჯელ ქალს ან დრო ან შემთხვევა არა აქვს კარგად გაიცნოს ამ გვარი კაცი.

მასსაჩუზეტში ახლად დაარსებულ მანდილოსანთა ამხანაგობა მიზანში, აი, სწორედ ასეთი კაცები ჰყავს ამოღებული. ამხანაგობას აზრადა აქვს დახმარება გაუწიოს ყმაწვილ ქალებს, ეცადოს გასათხოვარი ქალი გაიძვერას, ავანტიურისტს არ ჩაუვარდეს ხელში. ამხანაგობა საიდუმლოდ მოქმედებს, თავისის აგენტების შემწეობით ორი-სამი დღის განმავლობაში იგებს ვინაობას, წარსულს, ხასიათს იმ ყმაწვილ კაცებისას, რომელნიც ცოლის შერთვას აპირებენ და თუ რამ საეჭვო გაიგო, მაშინვე ქალებს ატყობინებს. ეჭვი არ არის, ასეთი საზოგადოება დიდ სიკეთეს მოუტანს ქალებს, ბევრს აუხელს თვალს დროზედ და უბედურებას გადაარჩენს.

არა ნაკლებ საყურადღებოა მეორე საზოგადოება, ამ რამდენისამე ხნის წინად ვენაში დაარსებული. ამ საზოგადოების წევრებად მხოლოდ განქორწინებული ქალები არიან. საზოგადოებამ დახმარება და შემწეობა უნდა აღმოუჩინოს ცუდ, გარყვნილ და მტარვალ ქმრების ხელში ჩავარდნილ ქალებს, ეცადოს ასეთის ქმრების ალაგმვას ან უბედურ ქალთა განთავისუფლებას, განქორწინებას. ჯერ-ჯერობით ამ საზოგადოებას 38 წევრი ჰყავს.

ი. ა—ძე

დაიხადოს (§11). შემდეგ მე-15 და მე-18 §§ში ნათქვამია:

15. საზოგადოების გარდაწყვეტილებით პირველში შემოსატანი საწევრო ფული ახლად შემომსვლელთა შეიძლება ნაწილ-ნაწილ იქმნას შემოტანილი, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ შემოსატანი ნაწილი შემოიტანებოდეს საზოგადო კრების მიერ განსაზღვრულ ვადაზედ, არა ნაკლებ $^{1}/_{10}$ ნაწილისა წელიწადში და რომ წილი იმ ამხანაგის კუთვნილ მოგებისა, რომელსაც სრულიად არა აქვს შეტანილი თავისი საწევრო ფული, არ ეძლევოდეს ხელში და დაებირებოდეს ხოლმე, ვიდრე შეავსებდეს შესატანს მე-11 მუხლში აღნიშნულ რაოდენობამდე.

18. ამხანაგობის წევრთა რიცხვი არ არის განსაზღვრული, გარნა მაშინ ითქმის მხოლოდ, რომ შემდგარია ამხანაგობაო, და მაშინ იწყებს თავისს მოქმედებას, როცა ათ კაცზედ ნაკლები არ არის რიცხვი იმ ამხანაგთა, რომელთაც შეუტანიათ მე-11 §-ში მოხსენებული შესატანი ფული სრულად.

როდესაც ეს „წესდება“ შემოიღო და თვისდა სავალდებულოდ მიიჩნია „შრომის“ ამხანაგობამ, მაშინ წევრთა რიცხვი 100-მდე იყო, რომელთა შორის მხოლოდ 25—30 კაცსა ჰქონდა შემოტანილი საწევრო ფული 25 მან. სრულად (ეს წესდება ამ წლის პირველ იანვრიდგან არის შემოღებული). ვინც ამ წესდებიდგან ამოწერილს ადგილებს წაიკითხავს, დამეთანხმება, რომ ამხანაგობას ამ ჟამად უნდა ჰყავდეს 30 წევრი, ე. ი. ისინი, რომელთაც სრული საწევრო ფული აქვთ გარდახდილი, ამ წევრთ უნდა შეადგინონ საზოგადო კრება, ამათ უნდა ამოირჩიონ გამგეობა და გაუწიონ პატრონობა ამხანაგობას და ამათისავე საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით უნდა შეღავათი მიეცეს დანარჩენ წევრთ საწევრო ფულის ნაწილ-ნაწილ შემოტანისას (§ 15), იმ წევრთ, რომელთაც 25 მან. სრულად არა აქვთ შემოტანილი და რომელთაგანაც ზოგს სულ 2 ან 3 მან. აქვს გარდახდილი საწევრო ფული და დანარჩენი აგერ რამდენიმე წელიწადია არ შემოაქვთ.

21 იანვრის კრებაზედ მე ეს გარემოება აუხსენი ამხანაგობის წევრთ და თვით კრების თავმჯდომარესაც, ბ-ნ დ. ფურცელაძეს, რადგანაც ჩემი მოვალეობა იყო, როგორც ამხანაგობის აწინდელ გამგეობის თავმჯდომარისა, ვცდილიყავ, რომ „წესდება“ არ დარღვეულიყო და ამითი კანონი არ შელახულიყო. რასა თქმა უნდა, რომ ასეთი შეზღუდვა უფლების უმეტესობას არასგრად ეპიტნავა, თუმცა ამითი, ჯერ ერთი, წესდებას დავიცავდით და, მეორე, ამხანაგობისათვისაც სასარგებლო იქმნებოდა, რადგან დანარჩენნი, არა შორ-ნათესნი წევრნი, ეცდებოდნენ თავისი საწევრო ფული ჩქარა შეევსოთ და ამ გვარად ამხანაგობის, აწ საქმის ხელ-შემშლელი, თანხის სიმცირე „ღონეს მოიცემდა და გაძლიერდებოდა. არ ესიამოვნათ, რადგან ყველას უნდოდა, 2 და 3 მანეთიანებსაც-კი, საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობა მიეღოთ და ამათი ამა თუ იმ კანდიდატისათვის მხარი დაეჭირათ.

საკვირველი აქ უფრო ის არის, რომ ამ უმეტესთა სურვილს მიემხრო კრების თავმჯდომარეც და განაცხადა: მე ასე მესმის წესდება, რომ ყველანი წევრნი არიან, ყველას შეუძლიან არჩევანში მონაწილეობის მიღება და ჩემის უფლებით გაძლევ კიდეც ნებასაო. ამ გვარად, ჩემის აზრით, დაირღვა წესდების უპირველესი მუხლი და მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო: ერთი კენჭი მიეცა სრულს 25 მან. წევრსაც და 2 და 3 მანეთიან არა-სრულს წევრსაც. ამ სახით, ორმა არა-სრულმა (4 მან. შემომტანმა) წევრმა შეიძლება ერთის 25 მან. წევრის სურვილი უკუაგდოს და უარ-ჰყოს და ამითი საქმეს დაეპატრონნენ, სრულნი წევრნი-კი არა, არამედ 2 და 3 მან. შემომტანნი, რომელთა რიცხვი ყოველთვის მეტი იქნება 25 მან. გარდამხდელებზედ.

თავმჯდომარის ამ მოქმედებით დაირღვა „წესდების“ მე-11 §ი, რომელშიაც ნათქვამია, რომ „...единовременный вступительный взносъ вступающихъ въ артель лицъ въ размѣрѣ 25 руб. каждый....“ ე. ი. „ამხანაგობაში შესასვლელი ერთხანად შესატანი 25 მანეთია თითოეულისთვისაო“. თუ ეს შესატანი გარდასახადი „შესასვლელია“, მაშასადამე, ვინც ვერ, ან არ შეიტანს, ის „შესულად“-აც არც ჩაითვლება და ვერც მონაწილეობას მიიღებს საზოგადო კრებასა და არჩევანში. ეს ისე აშკარაა და ნათელი, რომ მგონია დიდი დამტკიცება არა სჭირია.

ამას გარდა, ამ მუხლის ასე განმარტების სიმართლე იმითაც სჩანს, რომ მე 15 §ი წევრთა კრებას უფლებას აძლევს შეღავათი მისცეს, გადასდოს საწევრო ფულის ნაწილ-ნაწილ შემოსატანად იმ წევრთ, რომელთაც სრულად არა აქვთ შეტანილი. რასაკვირველია, ვადა იმან უნდა მისცეს, რომელსაც 25 მან. სრული საწევრო ფული აქვს გარდახდილი, და იმას, ვისაც ეს ფული ჯერ სრულად არ გარდაუხდია. წინააღმდეგს შემთხვევაში, ე. ი. თუ 2, 3 და მეტ მანეთიანნიც კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე წევრებად ჩავთვალეთ, მაშინ ისე გამოვა, რომ არა-სრულნი წევრნი თავისს თავს თითონვე მისცემენ შეღავათს და ვადას დაუდებენ საწევრო ფულის შესავსებად. ჯერ ერთი, ამის შემდეგ ვინ-და შეიტანს და შეავსებს საწევრო ფულს, როდესაც უამისოდაც ისეთივე უფლება აქვს, რაც სრულს წევრს, იმ წევრს, რომელსაც საწევრო ფული სრულადა აქვს გარდახდილი, და, მეორე, არა მგონია, რომ სადმე და რომელსამე წესდებაში იყოს ისეთი უაზრო კანონი, როგორაც ზოგიერთებმა ტფილისის დურგალთა ამხანაგობის წესდებას ძალათი მოახვიეს თავზედ.

რადგან შემდეგი კრება ამ ამხანაგობისა კვირას, 28 იანვარს, უნდა შესდგეს, სასურველია, რომ ამხანაგობის კრებამ (რომელსაც შეიძლება აქამდე დაუსწრებელნი წევრნიც დაესწრნენ) ეს განმარტება იქონიოს მხედველობაში და მოერიდოს ახლად შემოღებულ წესდების პირველსავე ნაბიჯზედ დარღვევას.

ა. ახნაზაროვი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ყველაზედ ბევრს სამეცნიერო ინსტრუმენტებსა და ნივთებს დღეს გერმანიაში ამზადებენ; ამ შემთხვევაში გერმანიას სხვა სახელმწიფოებთან შედარებით პირველი ადგილი უჭირავს. როგორც პარიჟის გამოფენისათვის შედგენილ წიგნიდგანა სჩანს, 1898 წელს, მაგალითად, გერმანიაში ყოფილა: 500 სახელოსნო, სადაც სხვა-და-სხვა იარაღს ამზადებენ, საჭიროს ვარსკვლავთ-მრიცხველობისა და ელექტრონისათვის; 12 სახელოსნო, სადაც ოპტიკურ შუშებს ამზადებენ; 165 სახელოსნო, სადაც ტელესკოპებს, მიკროსკოპებს, დურბინდებს, ლორნეტებს და სხვას ამზადებენ; სულ-კი 790 სახელოსნო, ამ სახელოსნოებში 13,625 კაცი მუშაობდა. ერთის წლის განმავლობაში გაუტანიათ გერმანიიდგან 18 მილიონ ფრანკის იარაღი, ამ სახელოსნოებში დამზადებული; დღეს-კი, ე. ი. ორის წლის შემდეგ, სამჯერ მეტის საფასურისა გააქვთ.

* * *

ამა წლის გაზაფხულზედ სამხრეთ პოლიუსისაკენ გაემგზავრება ახალი ექსპედიცია, რომელიც ინგლისელთა და გერმანელთაგან შესდგება. მთავარი მომწყობი ამ ექსპედიციისა, ლონდონის საგეოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე, კლემენტს მერკჰემი, ამას წინად ბერლინში იყო ამ ექსპედიციის გამო იქაურს მეთაურებთან მოსალაპარაკებლად. გეგმა ექსპედიციისა უკვე შემუშავებულია. ინგლისის მთავრობამ გაიღო ექსპედიციისათვის 450,000 მანეთი, 450,000 მანეთი ხელის მოწერით შეჰკრიბეს ინგლისში და იმედი აქვთ 200,000 მანეთი კიდევ შეჰკრიბონ, სულ 1,100,000 მანეთი. ამდენსავე გერმანია სწირავს. საექსპედიციოდ ორ გემს ამზადებენ, ერთს ინგლისისა, მეორეს გერმანელებისათვის. ინგლისის ექსპედიციის უფროსად უკვე დანიშნულ იქმნა სკოტი, ახალგაზდა, 30 წლის, კაპიტანი, ძალ-ღონით სავსე და მეტად გამბედავი ვაჟ-კაცი.

* * *

ოსმალეთის სულთანს აბდულ-ჰამიდს ძალიან უყვარს თურმე ძაღლები. სულთანს ილდის კიოსკში აუარებელი ძაღლი ჰყავს, რომელთა შენახვაზედაც ყოველ წელიწადს ათი-ათასს თუმნობითა ჰხარჯავს ფულს. თითქმის თვითვეულ ძაღლს საკუთარი მომვლელი და „ლაქია“ ჰყავს. სულთანის ძაღლების უმთავრესობას ტანისამოსი აცვია. ამისათვის სასახლეში რამდენიმე მკერვალია. უსაყვარლესი ძაღლი სულთანისა ერთი პატარა გოშიაა, რომელმაც სამაგალითოდ იცის თურმე დომინოს თამაშობა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 იანვარი

სტოკჰოლმი. დედოფალი დაწვა ინფლუენციისა და ყელის შესიებისა გამო; სიცხე არა შორდება, სასაში ანთება აქვს. ძალ-ღონე აკლდება.

ლონდონი. გამოცხადებულია, რა ზარალი მოუვიდათ ინგლისელებს ველდომთან ნოკსსა და დევეტს შორის 18 იანვარს მომხდარ ბრძოლის დროს: მოუკლავთ ერთი აფიცერი, დაუჭრიათ 4; მოუკლავთ 5 ჯარისკაცი, დაუჭრიათ 38.

„Times“-ს აუწყებენ პეკინიდგან 22 იანვრის რიცხვით, რომ ჩინეთის მთავრობამ განკარგულება გასცა ლონდონში გარდახდილ იქმნეს სავალო შესატანი იმ სესხისა, რომელიც ჩინეთის ჩრდილოეთის რკინის გზებისათვის იყო აღებული 1898 წელს. პირობის ძალით, თუ ეს შესატანი ვადაზედ არ იქმნა გარდახდილი, ინგლის-ჩინეთის საზოგადოებას უფლება ეძლევა მთელს პეკინ-შანჰაიგუანის რკინის გზას დაეპატრონოს. როდესაც ინგლისის მთავრობა წაეპოტინა ამ გზას, შესატანიც შეტანილ იქმნა. „Times“-ის კორესპონდენტი უკმაყოფილოა ამ გარემოებით, რადგან სავალო შესატანის გარდახდამ ინგლისელებს ხელიდგან გამოაცალა რკინის გზა, რომელიც ჩრდილოეთ ჩინეთში ინგლისის მდგომარეობას განამტკიცებდა.

„Morning Post“-ი იუწყება: პეკინში ხმა დადის, რომ ელჩები შეთანხმდნენ და გადასწყვიტეს პირველ ნუსხაში აღნიშნულ თერთმეტ კაცს შორის ოთხის დასჯა მოითხოვონო: იუენსენისა, იუნმენისა, ჩჟიაუსი და პრინცის ლეკ-ისა.

გერმანელები აცხადებენ, რომ ჩრდილოეთისაკენ გაგზავნილი ექსპედიცია გაგზავნილია არა ვისისამე დასასჯელად, არამედ დაპირებულ ფულის მისაღებადაო. გერმანელებს განზრახვა აქვთ შეჰკრან იმპერატორის მიერ საზამთრო სასახლეში დატოვებული ძვირფასი ნივთები. გერმანიის შანდუნელმა მისსიამ ეპისკოპოსის ანცერის შუამავლობით ფული მიიღო და თავისი ზარალი სავსებით აინაზღაურა.

პეკინი. ელჩთა და ჩინეთის რწმუნებულთა თათბირს კმაყოფილი შედეგი არ მოჰყვა.

მოსკოვი. უკვე მოქმედება დაიწყო პირუტყვის სამრეწველო და ხორცის ბირჟამ.

ტამბოვი. ღამე ალექსანდრ-გაიადგან ტამბოვზედ გაიარა პრინცმა ალექსადრე პეტრეს ძემ ოლდენბურგელმა.

25 იანვარი

ბლუმფონტეინი. მშვიდობიანობის კომიტეტის თავმჯდომარემ, პიტ დევეტმა მიჰმართა ქრისტიანე დევეტს და დაბეჯითებითა სთხოვს დამორჩილებას.

ლონდონი. კიტჩენერის დეპეშა პრეტორიიდგან: „ფრენჩი მტერს ჩრდილოეთისაკენ სდევნის. დევეტი ისევ ტაბანჩუს ჩრდილოეთითა სდგას და მისმა რაზმმა ტვირთის მზიდველი მატარებელი დააზიანა.

ბერლინი. ლონდონიდგან კერძოდ ამბავი მოვიდა, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა ლორდს რობერტსს შავის არწივის ორდენი უწყალობაო.

პეკინი. ელჩებისა და რწმუნებულთა გუშინდელს თათბირზედ ლიხუნგჩანგმა წაიკითხა იმპერატორის დეპეშა. ამ დეპეშით იმპერატორი დაბეჯითებითა სთხოვს დიდს სახელმწიფოებს, ნუ მოსთხოვთ ჩინეთს იმაზედ მეტს, რის გამოცემაც ძალ-უძსო. ლიხუნგჩანგმა დასძინა, რომ იმპერატორმა დამავალა თანხმობა განვაცხადო, რათა სიკვდილით იქმნენ დასჯილნი ელჩების მიერ დასახელებულნი წარჩინებულნი, პრინცის ტუანისა და ჰერცოგის ლანის გარდა, რომელთაც ყოველივე ღირსება ჩამოერთმევათ და განძევებულ იქმნებიანო. შემდეგ იმპერატორი წინადადებას იძლევა, რომ ტუნფუსიანის წინააღმდეგ გამოძიება იქმნას დაწყებულიო. მხოლოდ შემდეგში განაცხადეს რუსეთისა, საფრანგეთისა და ამერიკის ელჩებმა, რომ ჩინეთის წინადადების თანხმანი ვართო.

პეკინი. უცხო სახელმწიფოების ელჩებმა გუშინ საღამოს მომხდარს თათბირზედ საბოლოოდ დაადგინეს მოითხოვონ სიკვდილით დასჯა მათ მიერ დასახელებულ ყველა თორმეტ წარჩინებულისა, ამ რიცხვში იმათიც, რომელნიც უკვე გარდაცვლილნი არიან. შემდეგ გარდაწყვეტილია, რომ სიკვდილით არ დაისჯებიან მხოლოდ პრინცი ტუანი და ჰერცოგი ლანი, რომელნიც იმპერატორს შეუძლიან, სიკვდილით დასჯის ნაცვლად, განაძევოსო.

პეკინი. დღეს დილით უცხო ქვეყნების ელჩთა და ჩინეთის რწმუნებულთა თათბირზედ ელჩებმა წარადგინეს სია ჩინეთის იმ თორმეტის წარჩინებულ მანდარინის სახელებისა, რომელთა დასჯაც სასურველად არის მიჩნეული. რწმუნებულებმა უპასუხეს რომ ჩინეთი გულით მოწადინებულია სავსებით აღასრულოს დიდთა სახელმწიფოთა მოთხოვნილება, მაგრამ ჩვენ მაინც ვშუამდგომლობთ, რომ ზოგიერთს შემთხვევაში სიკვდილით დასჯა შეცვლილ იქმნას დამნაშავეთა განძევებით, რადგან დასასჯელნი არიან ისეთნიც, რომელნიც სამეფო გვარეულობას ენათესავებიანო. ხანგრძლივ კამათის შემდეგ გარდაწყვეტილ იქმნა, რომ უცხო ქვეყნების ელჩები შეადგენენ სრულს სიას იმ მანდარინებისას, რომელნიც უნდა დაისაჯნენ, და ჩინეთის მთავრობას წარუდგენენ. ელჩები დიდად მოწადინებულნი არიან საბოლოოდ დაიყოლიონ ჩინეთის ორივე რწმუნებული. ცინმა ჰკითხა: წავლენ დიდთა სახელმწიფო ჯარები პეკინიდგან, თუ ჩინეთმა დაგანახვათ, რომ მოწადინებულია ერთობილის ნოტის პირობანი აღასრულოსო? ელჩებმა ამ საკითხის განხილვას თავი მოარიდეს. ჩინეთის რწმუნებულთ ჰსურდათ აგრეთვე შეეტყოთ დაწვრილებით ის ადგილები, რომლებშიაც უნდა დაყენებულ იქმნენ უცხო-ქვეყნელთა დარაჯნი, რათა ზღვასთან დამოკიდებულება იქონიონ, და იკითხეს, ნუ თუ მართლა საჭირო იქნება ციხე-სიმაგრეთა დანგრევაო.

ბერლინი. გერმანიის სასოფლო-სამეურნეო საბჭოს დღევანდელს სხდომაზედ იმპერიის კანცლერმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ჩემი მოვალეობაა, ვითარცა იმპერიის კანცლერისა, ვიზრუნო იმ წოდებისათვის, რომლის ბედ-იღბალსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის გარეთ და მისის კეთილ დღეობისათვის შიგნითაო. საზოგადოება მავალებს, რომ დავიცვა სასოფლო მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა, სამივე თანაბარად, და სასწორი სამართლიანობისა არასოდეს არ გადავჰხარო ერთის რომელისამე მათგანის სავნებელად. ზრუნვას სასოფლო მეურნეობისათვის არა მარტო სამსახური მავალებს, არამედ გულითაც სასოფლო მეურნეობას ვემხრობი. ამისი თავმდებია ჩემი სახელი, რომლის მატარებელთაც მრავალ ასის წლის განმავლობაში ხელი შეუწყვიათ გერმანიის დიდებისათვისაო.

ლორენცო-მარკეზი. ბურებმა აქედგან 53 კილომეტრის მანძილზედ რკინის გზა შესწყვიტეს.

რომი. პალატამ ორის მესამედის ხმის უმეტესობით საყვედური განაცხადა მთავრობას მისის გენუაში მუშათა პალატის დათხოვნის საქმეში მოქმედებისა გამო. მთავრობა სათათბიროდ გავიდა. სხდომა შეწყვეტილია.

ფლისსინგენი. გემი „ჰოჰენცოლერნი“, რომელზედაც იმპერატორი და კრონპრინცი, მოვიდა აქა.

უტრეხტი. დღეს კრიუგერს მარჯვენა თვალის ოპერაცია გაუკეთეს. ოპერაციამ კარგად ჩაიარა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го Января 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე